RETURN MIGRATION OF RESETTLERS FROM ADJARA TO TSALKA: ANALYSIS OF PERSONAL NARRATIVES AND SOCIO-ECONOMIC FACTORS

აჭარიდან წალკში ჩასახლებულთა უკუმიგრაცია: პირადი მონათხრობებისა და სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორების ანალიზი

ANA BAGRATIONI
PhD student at Ivane Javakhishvili
Tbilisi State University;
Tbilisi, Georgia
Research fellow at Niko Berdzenishvili Scientific
Research Institute
Batumi, Georgia
+995577154907
Anabagrationi.1131@gmail.com
https://orcid.org/0009-0003-5319-7775

Abstract

The article examines the factors contributing to return migration among the Adjarian population resettled in Tsalka Municipality, focusing on the socio-economic integration challenges and the dynamics of remigration experienced by these communities. The paper aims to analyze the main drivers of return migration, state strategies, and reintegration policies, with particular attention to cases in which migrants' expectations—economic improvement and the prospect of a stable living environment—were not fulfilled. The study is based on documentary analysis and field observations. The findings indicate that a significant portion of the Adjarian population relocated to Tsalka not only due to environmental hazards but also in search of better economic opportunities. However, the lack of local infrastructure, limited employment prospects, insecure housing conditions, and social tensions substantially hindered their integration. The study concludes that these challenges, combined with insufficient state support, became major factors driving return migration, resulting in the return of hundreds of families to their places of origin. In recent years, return migration has decreased as housing conditions and local infrastructure have gradually improved.

Keywords: Tsalka; return migration; Adjarian settlers; integration; adaptation; return; state strategy.

ანა ბაგრატიონი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი;
თბილისი, საქართველო
ნიკო ბერძენიშვილის სამეცნიერო
კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი
ბათუმი, საქართველო
+995577154907
Anabagrationi.1131@gmail.com
https://orcid.org/0009-0003-5319-7775

აბსტრაქტი

სტატიაში წარმოდგენილია უკუმიგრაციის პროცესები წალკის მუნიციპალიტეტში ჩასახლებული აჭარის მოსახლეობის მაგალითზე, ასევე აჭარიდან წალკაში გადასახლებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური ინტეგრაციის სირთულეები და უკუმიგრაციის პროცესები. ნაშრომი მიზნად ისახავს უკუმიგრაციის ძირითადი მიზეზების, სახელმწიფო სტრატეგიებისა და რეინტეგრაციის პოლიტიკის ანალიზს, განსაკუთრებით იმ შემთხვევებზე დაყრდნობით, როდესაც მიგრანტების მოლოდინები — ეკონომიკური გაუმჯობესებისა და სტაბილური საცხოვრებელი გარემოს მიღების — ვერ გამართლდა. კვლევა ეფუძნება დოკუმენტურ ანალიზს, ასევე საველე მასალებზე დამაყარებულ მსჯელობას. შედეგები აჩვენებს, რომ წალკაში გადასახლებული აჭარის მოსახლეობის ნაწილი გადაადგილდა არა მხოლოდ გარემოსდაცვითი საფრთხეების, არამედ ეკონომიკური შესაძლებლობების გაუმჯობესების მოლოდინით, თუმცა ადგილობრივი ინფრასტრუქტურის არარსებობამ, სამუშაო ადგილების სიმცირემ, საცხოვრებელი საკუთრების დაურეგულირებლობამ და სოციალურმა დაძაბულობამ მათი ინტეგრაცია მნიშვნელოვნად გაართულა. კვლევა ასკვნის, რომ აღნიშნული პირობები, სახელმწიფოს შეზღუდულ მხარდაჭერასთან ერთად, იქცა უკუმიგრაციის მნიშვნელოვანი მამოძრავებელი ფაქტორად, რამაც გამოიწვია ასობით ოჯახის მშობლიურ რეგიონებში დაბრუნება. ბოლო პერიოდში ნაკლებად შეიმჩნევა უკუმიგრაცია, რადგან საცხოვრებელი და ინფრასტრუქტურული პირობები გაუმჯობესდა.

საკვანძო სიტყვები: წალკა, უკუმიგრაცია, აჭარიდან ჩასახლებულები, ინტეგრაცია. ადაპტაცია, დაბრუნება, სახელმწიფო სტრატეგია.

შესავალი

უკუმიგრაცია წარმოადგენს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სოციალურ და ეკონომიკურ პროცესს, რომელსაც აქვს როგორც ინდივიდუალური, ისე საზოგადოებრივი თვალსაზრისით გავლენა. ეს პროცესები ხშირად გამოწვეულია როგორც ნეგატიური, ისე პოზიტიური ფაქტორებით, რომლებიც სხვადასხვა რეგიონებში და ქვეყნებში განსხვავდება. საქართველოში, განსაკუთრებით აჭარაში, ბევრ ადამიანს ჰქონდა გამოცდილება როგორც სხვაგან ცხოვრებასთან, ისე უკან დაბრუნებასთან, რაც ხშირ შემთხვევაში უკუმიგრაციის პროცესს ახასიათებს. ნაშრომში ყურადღება გამახვილდება უკუმიგრაციის მიზეზებზე, მიზნებზე და მისი გავლენის შესახებ, კერძოდ წალკაში ჩასახლებული აჭარის მოსახლეობის მაგალითზე.

უკუმიგრაცია ტერმინი მოიცავს იმ პროცესს, როდესაც პირი ან მოსახლეობის ჯგუფი ჩამოდის ან ბრუნდება საკუთარ ქვეყანაში ან რეგიონში. აღსანიშნავია, რომ უკუმიგრაციის შესახებ ბევრი განსხვავებული თეორია არსებობს, რომლებიც ცდილობენ ახსნან სხვადასხვა

ფაქტორების გავალენა, რომელიც ადამიანებს უბიძგებს მათ მიატოვონ სხვა ქვეყანა ან რეგიონი. ძირითადად, ეს პროცესები დაკავშირებულია ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ და გარემოს ფაქტორებთან - ეკონომიკური ფაქტორები - უკუმიგრაციას ახასიათებს, როგორც რეაქციას სხვადასხვა ქვეყნის ან რეგიონის ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილებებზე. სოციალური ფაქტორები - მიგრაცია ერთგვარი კულტურული და სოციალური რეაქციაა. მიგრანტები ხშირად მოძრაობენ არა მხოლოდ ეკონომიკური მომგების მიზნით, არამედ სოციალურ ურთიერთობებსა და კულტურულ გარემოებაში ცვლილებების მოთხოვნით. ადამიანები ხშირად ჩნდებიან იმ ახალ სოციალურ კონტექსტში, რომელსაც მათთვის არაპროგნოზირებადი პირობები მოაქვს. (Massey D, Arango J, Hugo G, Kouaouci A., 2010)

უკუმიგრაცია წარმოადგენს მიგრაციული პროცესის ერთ-ერთ კრიტიკულ ფაზას, რომელიც აერთიანებს სოციალურ, კულტურულ, ეკონომიკურ და ინსტიტუციურ ფაქტორებს. მნიშვნელოვანია იმის გააზრება, თუ რა პირობებში და რა მოტივაციით ბრუნდებიან მიგრანტები საკუთარ ქვეყნებში და რამდენად მზად არის სახელმწიფო მათი რეინტეგრაციისთვის. არსებული კვლევები მიუთითებს, რომ დაბრუნების გადაწყვეტილება დამოკიდებულია როგორც ინდივიდუალურ, ისე სტრუქტურულ გარემოებებზე. (Massey D, Arango J, Hugo G, Kouaouci A., 2010)

კვლევის მიზანია გაანალიზოს უკუმიგრაციის ძირითადი მოტივები, სახელმწიფო პოლიტიკა და რეგულაციები, ასევე საველე მასალაზე დაყრდნობით წარმოვადგინოთ უკუმიგრაციის ნარატივი, წალკაში მცხოვრები აჭარის მოსახლეობის მაგალითზე.

ადრეული კვლევები ძირითადად კონცენტრირებული იყო ეკონომიკური მოტივების ან დიასპორული პოლიტიკის ერთეულ ასპექტებზე, თუმცა ნაკლებად იყო გააზრებული უკუმიგრაციის ინტეგრაციული მექანიზმების ეფექტიანობა, განსაკუთრებით აღმოსავლეთ ევროპის და სამხრეთ კავკასიის რეგიონებში.

კვლევის მთავარი შედეგია — აღმოჩნდა, რომ უკუმიგრაციის მდგრადობა დამოკიდებულია არა მხოლოდ ინდივიდუალურ მოტივაციებზე, არამედ სახელმწიფოს მიერ შექმნილ ინსტიტუციურ გარემოზე, ინფორმირებულობის ხარისხზე, რესურსების ხელმისაწვდომობასა და სოციალური მხარდაჭერის მრავალგანზომილებიან სისტემაზე.

მეთოდები

სტატია ეყრდნობა 2022-2025 წლების ეთნოგრაფიულ დაკვირვებებსა და მიმდინარე წლის აგვისტოში ჩატარებულ საველე ეთნოლოგიურ ექსპედიციას წალკის მუნიციპალიტეტში, რომლის შედეგად ჩავატარეთ რამდენიმე სიღრმისეულ ინტერვიუ. რესპონდენტები შერჩეულია ასაკის, სქესის, პროფესიისა და დასახლების ადგილმდებარეობის მიხედვით. კვლევა ეყრდნობა ინტეგრირებულ თვისობრივ მეთოდოლოგიას, რომელიც მოიცავს 2016–2020 და 2021–2030 წლების საქართველოს მიგრაციის სტრატეგიასთან დაკავშირებულ დოკუმენტურ ანალიზს.

შედეგები

კვლევა აჩვენებს, რომ აჭარიდან წალკში გადასახლებულთა უკუმიგრაცია მრავალფეროვანი და კომპლექსური პროცესია, რომელშიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს როგორც ეკონომიკური წინაპირობები, ასევე სოციალური და კულტურული ფაქტორები. ადამიანების დაბრუნება უმეტესად დაკავშირებულია უკეთესი ცხოვრების პირობების ძიებასთან, ოჯახის და საზოგადოებრივი ურთიერთობის აღდგენასთან. პროცესის წარმატება დამოკიდებულია სახელმწიფოს ჩარევაზე, პოლიტიკის სტრუქტურირებასა და

ინსტიტუციურ შესაძლებლობებზე, ასევე სოციალური მხარდაჭერის, განათლების ხელმისაწვდომობისა და რეგიონული განვითარების გაძლიერებაზე.

მსჯელობა

უკუმიგრაციის მართვა მოითხოვს მიზნობრივ პოლიტიკას, რომელიც მოიცავს როგორც სამართლებრივ, ასევე სოციალურ-ეკონომიკურ კომპონენტებს. მრავალი ქვეყანა ქმნის რეინტეგრაციის პროგრამებს, რომლებიც უზრუნველყოფს დაბრუნებულთა სამედიცინო, სოციალური და ეკონომიკური საჭიროებების დაკმაყოფილებას ხშირად გამოიყენება ფინანსური სტიმულები — მცირე ბიზნესის გრანტები, სუბსიდიები და საწარმოთა ხელშეწყობა, რაც მიზნად ისახავს დაბრუნებულთა შრომით ბაზარზე ინტეგრაციას, საქართველოს შემთხვევაში, რეინტეგრაციის პოლიტიკა ჯერ კიდევ განვითარების პროცესშია. მართალია, ოფიციალური კანონმდებლობა არ ითვალისწინებს დეტალურ მექანიზმებს, თუმცა სახელმწიფო თანამშრომლობს საერთაშორისო ორგანიზაციებთან, რათა დაბრუნებულებს შესთავაზოს გარკვეული მხარდაჭერა. (IOM Mission and Strategic Focus, 2016)

ეკოლოგიური ფაქტორებით განპირობებული მიგრაცია ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევაა. ეკომიგრანტთა ნაწილი გარკვეული პერიოდის შემდეგ ცდილობს დაბრუნებას ძველ საცხოვრებელ გარემოში, თუმცა ეს ყოველთვის ვერ ხერხდება, რადგან გარემო პირობები (მიწის ნაყოფიერება, ინფრასტრუქტურის დეგრადაცია) კვლავ პრობლემურია. საქართველოს შემთხვევაშიც დაფიქსირებულია ეკომიგრანტთა უკუმიგრაცია, როდესაც ადგილობრივები უბრუნდებიან მშობლიურ სახლებს დროებითი საცხოვრებლის გაუმჯობესების ან მიწის მოხმარების შესაძლებლობის გამო, თუმცა სტაბილური დაბრუნება ხშირ შემთხვევაში ვერ ხორციელდება. (ლაილი ჯ., 2012)

აჭარის მოსახლეობის სხვადასხვა რეგიონში გადასახლება XX საუკუნის საქართველოს სოციალური და დემოგრაფიული ისტორიის მნიშვნელოვანი ფენომენია. ამ პროცესის გაანალიზება საშუალებას გვაძლევს შევაფასოთ, რა ისტორიულ პირობებში შეიქმნა დღევანდელი კულტურულ-სოციალური სურათი წალკის მუნიციპალიტეტში.

- 1970–1980-იან წლებში დაიწყო აჭარის მოსახლეობის ჩასახლება ქვემო ქართლში, სამცხე-ჯავახეთში და ნაწილობრივ შიდა ქართლშიც.
- 1990-იანი წლების ცვლილებები -საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რეგიონში დაიწყო ემიგრაციული ტალღა – ბერძნული მოსახლეობის დიდი ნაწილი ისტორიულ სამშობლოში დაბრუნდა; 1997-98 წლებში აჭარის მთიდან მოსახლეობა ჩასახლდა წალკის რაიონის ორ სოფელში: გუმბათი და ხარაბა, აჭარლები დარჩნენ და ეკონომიკურ-სოციალური სივრცის ერთ-ერთ მთავარ ჯგუფად ჩამოყალიბდნენ. მათი ყოფნა დღეს განსაზღვრავს წალკის სოციალურ ქსელს, ადგილობრივ ეკონომიკასა და კულტურულ გარემოს. (ფუტკარაძე თ., 2006)
- 2000 წლები - 2001 წლის ზაფხულის მდგომარეობით წალკის რაიონში ჩასახლებული იყო 371 ოჯახი, მათგან სტიქიით დაზარალებული - 204 ოჯახი, 2005 წლიდან გაიხსნა ქართული სკოლები სოფლებში, 1997 წელს ქართული სკოლა გაიხსნა ქ. წალკაში, სადაც 2005 წლის მონაცემებით 350 მოსწავლიდან 280 ქართველი იყო. (ფუტკარაძე თ., 2006)

საინტერესოა, რომ 2000-იანი წლებიდან წალკაში გადასახლებული აჭარელი მოსახლეობის მიზნები არსებითად განსხვავდებოდა იმ ეკომიგრანტებისგან, რომელთა გადასახლება ძირითადად გარემოსდაცვითი საფრთხეების თავიდან აცილებას უკავშირდებოდა. მრავალი ოჯახის შემთხვევაში წალკაში გადასვლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოტივი იყო ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების იმედი, რაც მნიშვნელოვნად განსაზღვრავდა მათი ინტეგრაციისა და შემდგომში უკუმიგრაციის პროცესს. აჭარიდან წალკაში გადასახლების ერთ-ერთი ფაქტორი დაკავშირებული იყო

ბაქო–თბილისი–ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობასთან, რომელმაც ამ ტერიტორიაზე სამუშაო ძალის მოთხოვნის ზრდის შესახებ მოლოდინი შექმნა. (ტრიერი ტ, ტურაშვილი მ.,, 2007) თუმცა ადგილზე არსებული რეალური პირობები ამ მოლოდინებს ვერ ამართლებდა. წალკაში ჩასულ აჭარელ მოსახლეობას მძიმე სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობა დახვდა: სამუშაო ადგილების მწვავე დეფიციტი, სახლის საკუთრების დაურეგულირებლობა, ინფრასტრუქტურის განუვითარებლობა, მიზანშეუწყობელი სოციალური გარემო. ასეთმა მდგომარეობამ ასობით ოჯახი აიძულა, ტერიტორია დაეტოვებინა და კვლავ დაბრუნებულიყო მშობლიურ გარემოში. ამგვარად, უკუმიგრაცია ამ შემთხვევაში იყო გატეხილი მოლოდინებისა და ეკონომიკური იმედგაცრუების შედეგი, რაც უკავშირდებოდა სახელმწიფოს არასაკმარის მხარდაჭერას, დასაქმების შესაძლებლობების სიმწირესა და საცხოვრებელი სტაბილურობის პრობლემებს. (ფუტკარაძე თ., 2006)ანალოგიური ვითარება შეინიშნებოდა სხვა რეგიონებშიც: მაგალითად, სოფელ თხილვანადან მარნეულის ტერიტორიაზე გადასახლებული ოჯახების დიდი ნაწილი კვლავ დაბრუნდა საწყის ადგილებში მძიმე სოციალურ-ეკონომიკური პირობების გამო (ტრიერი ტ, ტურაშვილი მ.,, 2007).

2013 წელს საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მიერ შეიქმნა სპეციალური სამუშაო ჯგუფი, რომელიც მიზნად ისახავდა წალკაში მცხოვრები აჭარის მოსახლეობის მიგრანტების მდგომარეობის შესწავლას. ჯგუფის კვლევამ ცხადყო, რომ ოჯახების მნიშვნელოვანი ნაწილი კვლავ ცხოვრობდა საკუთრებაში გაუფორმებელ სახლებში, რაც მათთვის კიდევ უფრო ზრდიდა სოციალური დაუცველობისა და იძულებითი გადაადგილების რისკებს (სპეციალურმა ჯგუფმა წალკაში მცხოვრები ეკომიგრანტების პრობლემა შეისწავლა, 2013). ამ მონაცემებით დასტურდება, რომ წალკაში გადასახლებული აჭარის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილისთვის ინტეგრაციის პროცესი მძიმე და ხშირად უშედეგო იყო, რის გამოც უკუმიგრაცია გადაიქცა, როგორც სოციალური, ისე ფსიქოლოგიური და ეკონომიკური რეაქცია იმ გარემოებებზე, რომელთა გადაჭრა არსებული პოლიტიკით ვერ ხერხდებოდა.

წალკა აჭარის რეგიონისგან განსხვავებულია იმ მხრივ, რომ იქ უფრო მცირე დონის ინდუსტრიული განვითარება არსებობდა. თუმცა, ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორი, რამაც აჭარის მოსახლეობის უკან დაბრუნება განაპირობა, იყო მუშაობის შესაძლებლობები, საცხოვრებელი სახლების დაკანონება, ყოფის რთული პირობები, ადგილობრივთა დამოკიდებულება და სხვ.

წალკში ჩასახლებულ აჭარელი მოსახლეობის უმრავლესობა, როგორც წესი, ცდილობს განავითაროს საკუთარი ეკონომიკა. მოსახლეობის ნაწილი გარდა ეკოლოგიური მიზეზებისა ჩასახლდა სწორედ ეკონომიკური მიზნით, უფრო მეტი შემოსავლის მიღება, ოჯახის გაყოფა და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება. იქ უკვე დამკვიდრებულ აჭარელ მოსახლეობაში განსაკუთრებით ყურადღება ეთმობა სოფლის მეურნეობისა და მცირე ბიზნესების განვითარებას, თუმცა რთული იყო იქ დამკვიდრება დასახლების პირველ წლებში, საველე მუშაობისას აჭარის მოსახლეობასთან ჩატარებული ინტერვიუებიდან ირკვევა, რომ ახალჩასახლებული აჭარლები ბერძნების მიტოვებულ სახლებში დასახლდნენ,ვისაც შეეძლო ყიდულობდა თავისივე სახსრებით სახლებს, თუმცა ხშირი იყო კონფლიქტი საკუთრების ირგვლივ („უკან დაბრუნებული ბერძნები არ აძლევდნენ უფლებას ეცხოვრათ სახლში და შესახლებულებს ყრიდნენ სახლიდან“ – (სიღრმისეული ინტერვიუ, წალკა, 2025)). ზოგიერთმა ოჯახმა რამდენჯერმე დაკარგა საცხოვრებელი, სანამ საბოლოოდ შეძლებდა საკუთარი კერის შეძენას. ეს ფაქტორი მიუთითებს ადაპტაციის სირთულესთან ერთად საკუთრების უსაფრთხოების პრობლემებზე, რაც ხშირად უკუმიგრაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი განმაპირობებელი გახდა. (სიღრმისეული ინტერვიუ, წალკა, 2025).

ინტერვიუებში გამოკვეთილი ერთ-ერთი ცენტრალური თემა არის საცხოვრებელი სახლების პრობლემა. სოფელ სამების ერთ-ერთი მთხრობელი აღწერს მდგომარეობას, როდესაც ოჯახი ბერძნების სახლში ცხოვრობს და მრავალწლიანი მოლაპარაკებების მიუხედავად, საკუთრების უფლება დღემდე დაუდგენელია: „ჩვენ, მაგალითად, ბერძნების სახლში ვცხოვრობთ. რამდენიმე წლის წინ დაგვიკავშირდა მეპატრონე და შევთანხმდით სახლის ყიდვაზე – 7 ათას დოლარად. შემდეგ მისი შვილი მოვიდა და გვითხრა, არ ვყიდითო. დარჩენილი ვართ ჰაერში... შეიძლება ნებისმიერ დროს მოვიდეს და გამოგვასახლოს. აქ არ დავრჩები, წავალ თბილისში, სადაც ჩემი შვილები არიან. ჩემი გოგო იქ ცხოვრობს.“ (სიღრმისეული ინტერვიუ, წალკა, 2025). მონათხრობში ჩანს იმედის დაკარგვა, რაც მიგრანტისათვის სტაბილური ცხოვრების აუცილებელობას წარმოადგენს. ზოგიერთი მთხრობელი იხსენებს ახალი დასახლებების პერიოდს, როცა უფრო მეტად იყო საჭირო გამძლეობა და ახალ გარემოსთან შეგუება - „ვინც გაუძლო დარჩა და ვისაც არაფერი ჰქონდა იძულებული იყო აქ დარჩენილიყო“ (სიღრმისეული ინტერვიუ, წალკა, 2025). ეს ფრაზა აჩვენებს სოციალურ-ეკონომიკური დიფერენციაციის პროცესს: ვინც მეტ რესურსს ფლობდა, უკეთესად ახერხებდა ადაპტაციას, ხოლო სოციალურად დაუცველთ „არჩევანი“ პრაქტიკულად არ ჰქონდათ. ასეთ პირობებში უკუმიგრაცია ხშირად იყო ეკონომიკური იძულებით გამოწვეული. ერთ-ერთი მთხრობელის (სოფ. სამება) შეფასებით, ახალგაზრდებისთვის სოფელი უფრო „სეზონური დასასვენებელი სივრცე“ ხდება „ჩემს შვილს აქაურობა უნდა ზაფხულობით დასასვენებლად აქციოს“ (სიღრმისეული ინტერვიუ, წალკა, 2025). ეს დამოკიდებულება მიუთითებს მიგრაციის ციკლურობაზე: სოფელი ინარჩუნებს მნიშვნელობას, მაგრამ არა როგორც მუდმივი საცხოვრებელი გარემო. „მე იქ ვიცხოვრებ, სადაც ჩემი შვილები იქნებიან“. ეს ხაზს უსვამს ოჯახურ ფაქტორს, რომელიც ხშირად განაპირობებს როგორც მიგრაციას, ისე უკუმიგრაციას.

წალკაში ჩასახლებულთა ნაწილის მიზანი წალკაში ცხოვრების იყო ოჯახის წევრებთან ახლო ურთიერთობა, ცდილობდნენ გაემყარებინათ სოციალური კავშირები და მონაწილეობა მიეღოთ საერთო საზოგადოებრივ ცხოვრებაში, თუმცა იქ ჩამოსულებს ზუსტად ისეთი მდგომარეობა არ დახვდათ რასაც ელოდნენ, ამას აღნიშნავდა რამდენიმე მთხრობელი, (სოფ. გუმბათი, პირველი ჩასახლება აჭარის მოსახლეობის ამ სოფლიდან იწყება), ომელთა ნაამბობი ხაზს უსვამს, რომ დასახლების პირველ ეტაპზე სომხურ მოსახლეობას არ სურდა აჭარის მოსახლეობის ჩასახლება. აღწერილია კონფლიქტური გარემო („ყოველ ღამე გვიწევდა თავის დაცვა“), რაც მიუთითებს ძალადობრივი დაძაბულობის პერიოდზე. სომხებთან ურთიერთობა თავიდან კონფლიქტური იყო: *„ახალი ჩამოსულები ვიყავით აჭარლებმა, ფეხბურთში რომ მოუგეს სომხებს და სომხები გაბრაზდნენ და სცემეს...“*, ასეთი გარემოებები იქცა ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიზეზად, რის გამოც ბევრი აჭარული ოჯახი ვერ შეეგუა ახალ რეალობას და იძულებული გახდა უკან დაბრუნებულიყო.

სოფელ ბერთაში მცხოვრები მთხრობელი სრულიად სხვა კუთხიდან გვიმხელს თავის თავს: „ახლა სულ მარტო ვცხოვრობ აქ. ჩემი ცოლი ცოტა ხნის წინ გარდაიცვალა. არც საქონელი და პირუტყვი მყავს, რადგან ცოლიც არ მყავს. იგი იქ, აჭარაში დავასაფლავეთ. ჩემი შვილებიც აქ არ ცხოვრობენ. ხშირად ჩავდივარ აჭარაში.“(სიღრმისეული ინტერვიუ, წალკა, 2025). ეს მონათხრობი არის გლოვის, მარტოობისა და ნოსტალგიის ნაზავი. ცოლის აჭარაში დაკრძალვა მისთვის წარმოადგენს არა მხოლოდ ტრადიციულ ნაბიჯს, არამედ დაბრუნებას, რომელიც მას აძლევს კუთვნილების განცდას. ამ შემთხვევაში, ცხოვრება გაყოფილია „აქ“ და „იქ“ შორის – ერთი სივრცე (ბერთა) ასოცირდება ფიზიკურ მარტოობასთან, მეორე (აჭარა) – ემოციურ ფესვებთან, შესაბამისაც ემოციური კავშირი ძველ გარემოსთან იწვევს უკან დაბრუნების მოტივაციის ზრდას.

აჭარიდან ჩასახლებულები, არა მხოლოდ ეკონომიკურ და საცხოვრებელ პრობლემებს ეჯახებიან, არამედ ეთნიკურ და საზოგადოებრივ დაძაბულობებსაც. სოფ. გუმბათის ერთ-ერთ მთხრობელს ადგილობრივი სომხებისგან თავდაპირველი დაპირისპირება ახსოვს: „ადრე სომხებს არ უნდოდა აქ გვეცხოვრა და ყოველ დღე დაპირისპირება გვქონდა. ბევრი უკან დაბრუნდა. დღეს ერთმანეთს ვმეგობრობთ, მაგრამ არა ისე როგორც ქართველთან.“(სიღრმისეული ინტერვიუ, წალკა, 2025). ეს მონათხრობი გვთავაზობს ეთნიკური ურთიერთობების დინამიკის კლასიკურ მაგალითს: საწყის ეტაპზე – კონფლიქტი, შემდგომ – ნაწილობრივი ინტეგრაცია. თუმცა ინტერვიუ ასევე ხაზს უსვამს, რომ მეგობრობა ფორმალური და ზედაპირულია – „არა ისე როგორც ქართველთან“ – რაც მიუთითებს სოციალური დისტანცირების არსებობაზე.

ზოგი მთხრობელი ხაზს უსვამს, რომ ახალგაზრდებს ურჩევნიათ ქალაქში ცხოვრება, რადგან სოფლის შრომა არ ფასდება. ეს ასახავს ახალ თაობაში ეკონომიკურ-კულტურულ ტრანსფორმაციას: ურბანიზაციისაკენ სწრაფვას და სოფლის მეურნეობის დევალვაციას. თუმცა, უფროსი თაობის პოზიცია განსხვავებულია – მათ სურთ ადგილობრივ გარემოსთან და მიწასთან ერთგულება („აქ ვიქნებით და მოვუვლით“). ეს თაობათაშორისი განსხვავება აჩვენებს კულტურული მეხსიერებისა და სოფლად დარჩენის მოტივაციის შესუსტებას მომავალში.

ჩატარებულმა ინტერვიუებმა ნათლად წარმოაჩინა ცხოვრებისეული გამოცდილებები, საცხოვრებელი სტაბილურობის პრობლემები, სოციალური ურთიერთობები და იდენტობის საკითხები. მოსაუბრეების ნარატივები ხაზს უსვამს არა მხოლოდ მათ ინდივიდუალურ სირთულეებს, არამედ უფრო ფართო სოციალურ-ეკონომიკურ და ეთნიკურ კონტექსტს, რომელშიც მიმდინარეობს მათი ცხოვრება. კვლევა მიმდინარეობს და მისი სიღრმისეული შესწავლა, ვფიქრობთ ეფექტური იქნება სახელმწიფოსათვის სწორი შიდა მიგრაციული პოლიტიკის დასაგეგმად.

დასკვნები

უკუმიგრაცია, როგორც სოციალური და ეკონომიკური პროცესი, მნიშვნელოვან როლს თამაშობს აჭარის რეგიონში, განსაკუთრებით წალკში. მის მიზეზებში შედის, როგორც ეკონომიკური, ისე სოციალური და კულტურული ფაქტორები, რომლებიც განსაზღვრავენ იმას, თუ რატომ ბრუნდებიან ადამიანები თავის მშობლიურ ადგილებში. ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი ეკონომიკური განვითარება და უკეთესი ცხოვრების პირობების მიღწევაა, რაც მათ უბიძგებს დაბრუნებას. ასევე ეთნიკური დაძაბულობა, ქონებრივი უსაფრთხოების პრობლემები, სოციალურ-ეკონომიკური სირთულეები, ამასთანავე სოციალური და კულტურული მიზნები, როგორიცაა ოჯახთან სიახლოვე და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის აღდგენა მნიშვნელოვან როლს თამაშობს უკუმიგრაციის პროცესში.

უკუმიგრაცია მოითხოვს სახელმწიფოს მხრიდან გეგმურ, კარგად სტრუქტურირებულ და მრავალფენიან ჩარევას. ეკონომიკური და სოციალური ფაქტორები მნიშვნელოვან როლს თამაშობს, თუმცა პოლიტიკური და ინსტიტუციური ჩარჩოები განსაზღვრავს დაბრუნების რეალურ შესაძლებლობასა და ხარისხს.

რეინტეგრაციის წარმატებული მოდელი მოითხოვს: ფინანსურ და სოციალურ მხარდაჭერას; განათლებისა და კვალიფიკაციის აღიარებას; ინფორმაციის ხელმისაწვდომობას; ბიუროკრატიის შემცირებას; რეგიონულ განვითარებას.

გამოყენებული ლიტერატურა:

ლაილი, ჯ. (2012). *ეკომიგრანტების განსახლება საქართველოში, განსახლების პოლიტიკაში მიმდინარე ცვლილებები, ტენდენციები, განხორციელება და აღქმები.* სამუშაო მოხსენება #53, ECMI.

სპეციალურმა ჯგუფმა წალკაში მცხოვრები ეკომიგრანტების პრობლემა შეისწავლა. (2013 წლის 11 ივლისი). მოპოვებული https://netgazeti.ge/news/23588/-დან

ტრიერი, ტ, ტურაშვილი, მ.,. (2007). *ეკოლოგიური მიზეზებით ადგილმონაცვლე პირთა განსახლება, არსებული პრობლემების გადაწყვეტა თუ ახლის შექმნა, ეკომიგრაცია საქართველოში 1981-2006.*

ფუტკარაძე, თ. (2006). *აჭარის მოსახლეობის მიგრაციის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები.* ბათუმის უნივერსიტეტი.

(2016). *IOM Mission and Strategic Focus.* International organization for migration. Retrieved from https://www.iom.int/sites/g/files/tmzbdl486/files/about-iom/iom_strategic_focus_en.pdf

Massey D, Arango J, Hugo G, Kouaouci A. (2010). Theories of International Migration: A Review and Appraisal. *ResearchGate*

References

Laili, J. (2012). *Ekomigrantebis gansakhleba Sakartveloshi, gansakhlebis politikashi mimdinare tsvlilebebi, tendentsiebi, gankhorcieleba da agkmebi*. Samushao Mokhseneba #53, ECMI.

Specialurma jgufma Tsalkashi mcxovrebi ekomigrantebis problema sheisvala. (2013, 11 ivlisi). Mopovdebuli: https://netgazeti.ge/news/23588/

Trieri, T., Turashvili, M. (2007). *Ekologiuri mizezebit adgilmonaCvle pirta gansakhleba, arsebuli problemeb is gadasxveta tu axlis sheqmna: ekomigracia Sakartveloshi 1981–2006.*

Futkaradze, T. (2006). *Adjaris mosaxleobis migraciis istoriul-etnologiuri problemebi.* "Batumis Universiteti".

International Organization for Migration (2016). *IOM Mission and Strategic Focus*. Retrieved from: https://www.iom.int/sites/g/files/tmzbdl486/files/about-iom/iom_strategic_focus_en.pdf

Massey, D., Arango, J., Hugo, G., Kouaouci, A. (2010). *Theories of International Migration: A Review and Appraisal*. ResearchGate.